საღ გაქრნენ დინოზავრები?

გაიხსენე, რა იყო დინოზავრების შესახებ. ალბათ, გახსოვს, რომ დინოზავრები ერთ პერიოდში გადაშენდნენ მთელ დედამიწაზე. ტექსტში ამის შესახებ გამოთქმული ვარაუდებს გაეცნობი.

დინოზავრზე ბევრი რამ არის ცნობილი. ვიცით, რომ უკვე 800-ზე მეტი სახეობის დინოზავრი არის **აღმოჩენილი.** ზოგი მათგანი სიმაღლით 25 მ იყო. ზოგი კი – მხოლოდ 60 სმ. ზოგი ბალახს ჭამდა, ზოგი – ხორცს. მათ 165 მილიონი წელი იარსებეს. გადაშენდნენ 65 მილიონი წლის წინ. თუმცა მათმა ნაშთმა დღემდე მოაღწია. ესენია: დინოზავრის ძვალი, კბილი, ნაფეხური...

რატომ გაქრნენ ეს ვეება არსებები? ამაზე ზუსტი პასუხი არ გვაქვს. ზოგი მეცნიერი თვლის, რომ მიზეზი ვულკანის ფერფლი იყო. მან დაფარა მიწა. ამის გამო მცენარეები ფერფლის ქვეშ აღმოჩნდა. მათ გარეშე კი ცოცხალი არსება როგორ გაძლებდა?!

ზოგის აზრით, დინოზავრების გადაშენების მიზეზი ასტეროიდია. ის დედამიწას დაეჯახა. ასე გაჩნდა მტვრის სქელი ფენა. მტვრის ღრუბელი ცაში აიჭრა და მზეს აეფარა. მზის სხივებმა ვერ მოაღწიეს დედამიწამდე. ამ დროს ძალიან აცივდა. სწორედ ყინვის გამო დაიღუპნენ დინოზავრები.

ზოგი იმასაც ამბობს, რომ ისინი რაღაც დაავადებამ **გაანადგურა**. ამ აზრს ბევრი არ იზიარებს. საკითხის **კვლევა** კი ისევ გრძელდება. იმედია, ზუსტ პასუხს მალე იპოვიან.

დინოზავრების გაქრობის შესახებ ტექსტში გამოთქმული რომელი მოსაზრებაა შენთვის უფრო დამაჯერებელი? რატომ?

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 პირველი აბზაციდან ვიგებთ:

ა) რა გახდა დინოზავრების გადაშენების მიზეზი.

ბ) რამდენი ხნის წინ გადაშენდნენ დინოზავრები.

გ) სად აღმოაჩინეს პირველად დინოზავრის ნაკვალევი.

2 რომელი წინადადება გადმოსცემს მოსაზრებას?

ა) არსებობდნენ ბალახისმჭამელი და ხორცისმჭამელი დინოზავრები.

ბ) დინოზავრები, ალბათ, დიდი გამყინვარების დროს ამოწყდნენ.

გ) დღეისთვის დინოზავრის რამდენიმე ასეული სახეობაა აღმოჩენილი.

3 რომელია ფაქტი?

ა) ამბობენ, რომ დინოზავრები დაავადების გამო დაიხოცნენ.

ბ) გაირკვა, რომ არსებობდნენ სხვადასხვა ზომის დინოზავრები.

გ) ფიქრობენ, რომ დინოზავრების გადაშენება ვულკანმა გამოიწვია.

4 ტექსტში *არ ჩანს* მეცნიერების მოსაზრება იმის შესახებ, თუ:

ა) რა ზომის ასტეროიდი დაეჯახა დედამიწას.

ბ) რის გამო დაიწყო დიდი გამყინვარება დედამიწაზე.

გ) როგორ შეეძლო ვულკანს დინოზავრების განადგურება.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. 800-ზე მეტი სახეობის დინოზავრის ნაშთები უკვე **<u>აღმოჩენილია</u>**.

   ა) აღწერილია. ბ) ნაპოვნია. გ) შესწავლილია.

2. დინოზავრები დაავადებამ **<u>გაანადგურა</u>**.

   ა) დააფრთხო. ბ) შეაშინა. გ) მოსპო.

3. დინოზავრების ნაშთების **<u>კვლევა</u>** ისევ გრძელდება.

   ა) აღმოჩენა. ბ) შესწავლა. გ) ძებნა.

2 ხაზებით შეაერთე საპირისპირო მნიშვმნელობის სიტყვები (ანტონიმები).

ზოგი	ცოტა
მეტი	ყველა
ბევრი	ნაკლები

3 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?

ა) ზუსტად – დაახლოებით. ბ) ისევ – კვლავ. გ) მალე – მოგვიანებით.

4 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

დინოზავრები 65 მილიონი წლის ---------- გადაშენდნენ. **(წინ / უკან)**

▶▶▶ გრამატიკა

1 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

	☒ *მხოლოთ.*	☐ *მხოლოდ.*
1.	☐ იპოვიან.	☐ იპოვნიან.
2.	☐ გადაშენდენ.	☐ გადაშენდნენ.
3.	☐ დაიღუპნენ.	☐ დაიღუპენ.
4.	☐ ზოგი მეცნიერი.	☐ ზოგი მეცნიერები.

გრამატიკა

2 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.

1. (მტვერი) ---------- გამო. 2. (ღრუბელი) ---------- ფენა.

3 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

1. ---------- ნაშთმა დღემდე მოაღწია. **(მათმა / მათ)**

2. ---------- ძალიან დიდხანს იარსებეს დედამიწაზე. **(მათმა / მათ)**

4 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ის, რაც აღმოაჩინეს, არის აღმოჩენილი.

1. ის, რაც შეცვალეს, არის ----------. 2. ის, რაც გაჩნდა, არის ----------.

წერა

1 დაწერე ტექსტში დასახელებული ერთ-ერთი ფაქტი და მასთან დაკავშირებული მოსაზრება.

ფაქტი: ----------

მოსაზრება: ----------

---

2 წარმოიდგინე, რომ აღმოაჩინეს ახალი სახეობის დინოზავრი. დახატე ი.გი, ისაუბრე მის შესახებ: სად ცხოვრობდა, როგორ გამოიყურებოდა, რითი იკვებებოდა და სხვა.